ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7383191

ნომერი: AR11075972

თარიღი : 03.02.2025

გაცემის თარიღი : 18.02.2025

გაცნობის თარიღი : 18.02.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იოსებ ალავერდელის ქუჩა, N 1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მონიავა პ/ნ 29001007571
- თბილისი 9 ძმის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 იანვარის №6842037 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 03 თებერვალს №AR11075972 განცხადებით მომართა გიორგი მონიავამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 15

იანვარის №6842037 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 იანვარის №6842037 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.15.005.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საამქრო/სტამბის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856271 ბრძანებით გასწორდა სამსახურის 2024 წლის 15 იანვრის №6842037 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 15 იანვრიდან 2024 წლის 15 ივლისის ჩათვლით.”
სამსახურის 2024 წლის 28 ივნისის №7104429 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2024 წლის 15 იანვრის №6842037 ბრძანებაში და გაგრძელდა მშენებლობის ნებართვის ვადა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 15 იანვარის №6842037 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე საზაფხულო ფართობების კვადრატულობები არ იყო მითითებული, რაც წარმოდგენილ გეგმებზე გასწორებულია. განმცხადებელი ასევე უთითებს, რომ წარმოდგენილ გეგმებზე ასევე დაზუსტებულია საწყობის კვადრატულობები.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 15 იანვარის №6842037 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმები არ იცვლება აღნიშნულ გეგმებზე ზუსტდება მხოლოდ საზაფხულო და საწყობის ფართობები. ამასთან, გეგმებზე ფართობების დაზუსტება არ იწვევს №6842037 ბრძანებაში დაფიქსირებული საზაფხულო და საწყობის ფართობების დაზუსტებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 იანვარის №6842037 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 იანვარის №6842037 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე არქიტექტურული გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 იანვარის №6842037 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 იანვარის №6842037 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.